აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №5

23/12/2025 წელი **ქ. ბათუმი**
11⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **- პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;

ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;

მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;

ციალა შავაძე - უსკოს წევრი;

თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი.

არ ესწრებოდა:

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

2. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უსკოს 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების გამოუსადეგარი, ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტის ცნობად მიღების შესახებ;

4. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

2. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების

შესახებ“ უსკოს 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების გამოუსადეგარი, ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტის ცნობად მიღების შესახებ.

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით უმაღლესი საარჩევნო კომისიაზე დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნეს 2026 წლის მიმდინარე ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა).

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის ხარჯთაღრიცხვა, დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის დღიდან.

(თან ერთვის)

2. განკარგულება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უსკოს 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უსკოს 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უსკოს 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 20 დეკემბრის №40 განკარგულების დანართში შეტანილი იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის სახით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების გამოუსადეგარი, ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტის ცნობად მიღების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების გამოუსადეგარი, ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტის ცნობად მიღების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა რომ, ცესკოდან მიღებული იქნა 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის

და აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ვადაგასული დოკუმენტაციის (რომლებსაც გაუვიდათ შენახვის ვადა და აღარ ექვემდებარება შენახვას) განადგურების შესახებ მასალები. მისი განმარტებით, წარმოდგენილი აქტები „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ[6]“ ქვეპუნქტრის საფუძველზე, უსკომ ცნობად უნდა მიიღოს, კერძოდ - საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთდროულად ჩატარების შემთხვევაში უსკო ცნობად იღებს ცესკოს ან/და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული პროცედურების შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს არჩევნების ნაწილში გამოუსადეგარი, ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების შესახებ მიღებულ აქტს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების გამოუსადეგარი, ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტის ცნობად მიღების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ[6]“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ცნობად იქნეს მიღებული 2024 წლის 26 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ნაწილში დოკუმენტებისა და საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის შესახებ, რომლებიც შენახვას არ ექვემდებარებიან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2025 წლის 05 მაისის №2 აქტი და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (მიმწოდებელი) და შპს „გამომცემლობა პალიტრა L“ (მიმღები - რომელმაც, მაკულატურა შემდგომ გადასცა წარმოებაში შპს „კრიალა“-ს) და შპს „კრიალა“-ს (მისი მაკულატურის შესყიდვის სპეციალისტი) წარმომადგენლების მიერ 2025 წლის 17 ივლისს გაფორმებული განადგურების აქტი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**